განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” ცვლილების შეტანის შესახებ”

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ორგანულ კანონში ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია მასში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ის პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა არჩევნებში, თუ მან ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3%-ზე მეტი (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით). ხსენებული ნორმის შესაბამისად, პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად და იმ შემთხვევაში, თუ პარტია ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკი, რომელშიც ეს პარტია იყო გაერთიანებული, მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან 3%-ზე მეტს.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის არჩევნები ტარდება პრორპოციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. ამასთან, კანონმდებლობით არც ერთ საარჩევნო სისტემას არ აქვს მინიჭებული უპირატესობა და შესაბამისად, ისინი თანაბარმნიშვნელოვანია, თუმცა პარტიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლების მინიჭება მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების საფუძველზეა შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში, პროპორციული სისტემით პარტიის მიერ მიღებული მინიმალური შედეგი (3%), რომელიც შესაძლებელია არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ პარტია წარმოდგენილი იყოს პარლამენტში, საკმარისია პარტიის მიერ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის მისაღებად და დაფინანსების მოსაპოვებლად, მაშინ, როდესაც პარტიას, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით, ითვლება, რომ ჰყავს პარლამენტში წარმომადგენელი, თუ იგი არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარადგენს პარტიული სიის წარდგენისაგან დამოუკიდებლად, მაჟორიტარ კანდიდატებს და ეს კანდიდატები არჩეული იქნებიან პარლამენტის წევრებად. შესაძლებელია, რომ პარტიამ ვერ გადალახოს პარლამენტის პროპორციული სისტემით გამართულ არჩევნებში 3%-იანი ბარიერი, მაგრამ ამ პარტიამ მოიგოს მაჟორიტარული წესით ჩატარებული

არჩევნები და მით უფრო, მისმა წარმომადგენელმა/წარმომადგენლებმა შექმნან საპარლამენტო ფრაქციაც კი. ასეთ შემთხვევაში, კანონი, ისევე, როგორც აღიარებს და ათანაბრებს პარლამენტის არჩევის ორივე სისტემას, და ამ ორივე სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების სტატუსს განსხვავებულად არ ადგენს, ასევე ამ ორივე სისტემით მიღწეული შედეგი - ერთ შემთხვევაში, თუნდაც პარლამენტში მოსახვედრად პროპორციული სისტემით მიღებული ხმების 5%-იან ბარიერზე ნაკლები შედეგი - ხმების 3% და მეორე მხრივ, პარტიის შედეგი - მიერ მიერ წარდგენილი მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრებისაგან შექმნილი საპარლამენტო ფრაქცია, თანაბარ პირობებში უნდა იძლეოდეს ასეთი პარტიებისათვის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის მინიჭებისა და კანონით დადგენილი წესით დაფინანსების მიღების შესაძლებლობას, რაც დაფინანსების მინიჭების არსებული რეგულაციების შეცვლისა და მათი გათანაბრების გზით, აღმოფხვრის პარლამენტში ორივე სისტემით დამდგარი პარტიის შედეგის დისკრიმინაციულ მიდგომას დაფინანსების კუთხით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, ორგანულ კანონში არსებული იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც უკავშირდება პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსების ოდენობის გაანგარიშებას მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების საფუძველზე

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხის მიღების უფლების გავრცელებას ასევე იმ პარტიისათვის, რომელიც მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრით/წევრებით წარმოდგ**ბ)**

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს დამატებით ხარჯებს 2018 და შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ასიგნებებზე, როგორც 2018 წლისათვის, ასევე შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრები 2019-2021 წლებში, დამტკიცებულ იქნა პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით №976 – IIს).

2018 და საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენა შეადგენს თითოეული პარტიისათვის წლიურად მინიმალური ოდენობით 300 ათას ლარს (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, მუხლი 30, პუნქტი 4). გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტს გავლენა ექნება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით შექმნილ

ფონდში (საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართულ სახსრებზე, რომელიც შეადგენს პარტიებზე პირდაპირ გასანაწილებელი სახსრების ნახევარს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

რამდენადაც კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხის მიღების უფლების გავრცელებას ასევე იმ პარტიისათვის, რომელიც მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრით/წევრებით წარმოდგენილია პარლამენტში და ჰყავს საპარლამენტო ფრაქცია, კანონპროექტს გავლენა ექნება შესაბამისი პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი: სიმონ ნოზაძე, გია ჟორჟოლიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: სიმონ ნოზაძე, გია ჟორჟოლიანი